შაბათი 24 მარტი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 65

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

კვირას, 25 მარტს, ავლაბრის პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის პოდპოლკოვნიკის

**ნიკოლოზ გაბრიელის ძის შავლიევის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმა განსვენებულისა **არხიმანდრიტი იონა**, და დანი: **ელათი შავლაევისა, მართა რცხილაძისა, თებრონე ოტიკაძისა** და დისწული **რომანოზი სხირტლაძე**. (2—5—1)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

**კანტორა**

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

**ნამდვილი კახური ღვინო**




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—40)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—13)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—74)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწაპლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—6.—11)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განაზა და ვენერიული**. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—66)

**სამკურნალო**
ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საზარდ. კანისა და სნფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. გიმონეტი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**პ. ა. ზეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.
**ა. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—43)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.
**„კოლხიდა"**
აწვდის სოფლის მეურნეთგან **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს**, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (**იონჯა, კოინდარი**), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—11)

**24** მარტისთვის ინოჩენცის საცეკვაო დარბაზში გენ.-გუბერნატორის ნებართვით დანიშნული იყო **საცეკვაო საღამო** მირიანოვის პროფესიონალურ სკოლის სასარგებლოდ. საღამო არ შესდგა და გადაიდო 7 აპრილისთვის. (1)

ტფილისი, 24 მარტი.

გუშინწინ ჩვენ განვიხილეთ საზოგადო მდგომარეობა აგრარულის სიკითხისა და გაკვრით მოვიხსენიეთ ის კონკრეტული პროექტები, რომელთანაც საქმე ექნება სახელმწიფო სათათბიროს. როგორც ჯერ-ჯერობით სჩანს, აგრარულ კომისიას გადაეცემა სამი კანონ-პროექტი: მთავრობისა, კადეტთა ფრაქციისა და ტრუდოვიკებისა; ამათგან უკანასკნელი ძველია: შარშან შეიმუშავეს ტრუდოვიკებმა და წარუდგინეს პირველ სათათბიროს (ეგრედ წოდებული „104-ის პროექტი"); კადეტთა პროექტის უმთავრესი საფუძველნიც შარშან იყო შემუშავებული („42-ის პროექტი), წელს იგი რამოდენადმე შეუცვლიათ და შეუვსიათ. რაც შეეხება სხვა სოპოზიციო ფრაქციებს, ისინი ჯერ არ აპირობენ თავიანთ პროექტების წარდგენას, ს.-რევ. და ნაროდნ. სოციალისტები, ალბათ, ტრუდოვიკების პროექტს დაუჭერენ მხარს. ყოველ შემთხვევაში პირველ ხანს აგრარულ კომისიას საქმე ექნება სამ პროექტთან: ვასილჩიკოვის სამინისტროსა, კა-დეტებისა და ტრუდოვიკების კანონ-პროექტებთან. ამ პროექტებს შორის ძირითადი განსხვავებაა. თითოეული სრულებით სხვა და სხვა პრინციპებზეა აგებული და მათი შეთანხმება, მათ შორის კომპრომისები შეუძლებელია. მთავრობისა და ტრუდოვიკების პროექტებზე ბევრჯელ გვქონია მკითხველებთან ბაასი და მათზე აქ აღარ შევჩერდებით; გავაცნობთ კადეტების ახალს პროექტს და მერე შევუდარებთ მას ორს ზემო აღნიშნულს.

პროექტის დედა-აზრია—გაფართოვება გლეხთა მიწათ-მფლობელობისა. რუსეთის ყოველ მაზრაში კანონით განსაზღვრული უნდა იქმნას იმ მიწის რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება მცირე მემამულეგლეხთა ან უმამულოთა უზრუნველსაყოფელად. ნორმალური რაოდენობა უნდა შეიმუშავონ განსაკუთრებულმა ადგილობრივმა დაწესებულებებმა, რომელნიც შესდგებიან ადგილობრივ არჩეულ პირთაგან. როცა ეს ნორმალური რაოდენობა მიწისა ყოველ მაზრისათვის კანონით დამტკიცებული იქნება, უმამულოთ სულ მთელ ნორმას მიუზომავენ, ხოლო მცირე მემამულეს შეუვსებენ ნორმამდე. მიწა გადაეცემა სამუდამო სარგებლობაში თემებს, ამხანაგობათ, კომლს ან ერთ მიწათ-მომქმედს იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის მიწათ-მფლობელობაა ადგილობრივ. გადასაცემ მიწების ფონდს შეადგენენ: სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო-საეკლესიო, საგლეხო სახელმწიფო ბანკის მიწები, აგრეთვე ის მამულები, რომელნიც იძულებით ჩამორთმევის პრინციპზე იქნებიან გამოსყიდულნი კერძო მემამულეთა ან საზოგადოებათაგან. გამოსასყიდველ ფულის ერთი ნაწილი ხაზინამ უნდა იკისროს, მეორე—თვით იმათ, ვისაც მიწა მიეზომება. რაც კერძო მამულებზე ბანკის ვალია, ხაზინამ ისიც უნდა იკისროს და ნაწილ-ნაწილ გადაუხადოს ბანკებს კერძო მემამულეთა მიწები უნდა დაფასდეს წმინდა შემოსავლის მიხედვით. იძულებითი გამოსყიდვა არ შეეხება ეზოს, ბაღს, ბოსტანს, ვენახს და „პიტომნიკებს". დანარჩენ მამულებიდან გამოსყიდულ უნდა იქმნას ყველა, ხოლო მემამულეს დარჩება ის მაქსიმუმი, რომელიც ყოველ მხრისათვის ცალკე იქნება განსაზღვრული. ამგვარად შედგენილი მიწის ფონდი დაურიგდება მცირე მემამულე-გლეხთ და უმიწაწყლო მშრომელთ. თუ ფონდი არ ეყოფათ ყველას მაზრაში, მერე მაზრიდან უნდა მიუჭრან; ხოლო რაც გადარჩება, სათადარიგო ფონდს შეადგენს.

გაკვრით ასეთია კა-დეტების პროექტი. როგორც ხედავთ, იგი რადიკალურად განსხვავდება მთავრობის პლანისაგან. მთავრობა უარჰყობს იძულებით ჩამორთმევის პრინციპს და ხელს არ ახლებს კერძო მემამულეთ; უკანასკნელთ თავის ნებით შეუძლიანთ გაჰყიდონ მამულები საგლეხო ბანკის შემწეობითაო. საგლეხო ბანკსვე გადასცა მთავრობამ ნაწილი სახაზინო და საუფლისწულო მამულებისა. საგლეხო ბანკმა კი უზომოთ ასწია ფასები როგორც ამ მიწებისა, ისე კერძო მემამულეთაგან შეძენილებისა. ამ გვარად შედგენილი მიწის ფონდი უნდა მიეზომოს როგორც კერძო საკუთრება გლეხთ, სულ ამათივე ხარჯით. გარდა ამისა, მთავრობამ შეჰქმნა კანონი, რომელიც ნებას აძლევს გლეხს გამოვიდეს სათემო მფლობელობიდან. ამ რიგად, თავ. ვასილჩიკოვის პროექტი ჰქმნის ევროპის რუსეთში, სადაც დღემდე სათემო მიწათმფლობალობაა, კერძო საკუთრებას მიწაზე; ხოლო მიწის განაწილების პირობები ისეთია, რომ უმეტესი ნაწილი მიწისა გლეხობის უფრო შეძლებულ ნაწილს ჩაუვარდება ხელში და ამ გზით გაჩნდება მსხვილი სასოფლო ბურჟუაზია, გლეხობის უმეტესობა კი უფრო დაიჩაგრება, ვიდრე დღემდის, რადგან მისი საკუთრება ერთობ დავალიანდება... წინააღმდეგ ამისა, კადეტების პროექტი: ათანასწორებს საგლეხო მიწათ-მფლობელობას, ხელს არ ახლებს სათემო წეს-წყობილებას და უმთავრეს მსხვერპლს აგრარულ რეფორმის მოსახდენად აკისრებს სახელმწიფოსა და დიდ-მამულიან კერძო მესაკუთრეებს. ამ ორ გეგმის შუა დიდი განსხვავებაა და მათი შეთანხმება შეუძლებელია: ან მთავრობამ ან კადეტებმა სავსებით უკან უნდა წაიღოს თავისი პროექტი.

როგორც იცით, კიდევ უფრო შორს მიდის ტრუდოვიკების კანონ-პროექტი. იგი მთელ რუსეთის მიწას მშრომელ ხალხის საკუთრებად აღიარებს, ამასთანავე გამოსყიდვის პრინციპს უარჰყოფს: ყველა მიწები უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს მიწის მომქმედთ, რომელთათვის განსაზღვრული იქნება „შრომის შესაფერისი ნორმა", ხოლო მემამულეთ შეიძლება ერთდროებითი ჯილდო მიეცეს ხაზინიდანაო. ამგვარად, ეს პროექტი ისე დაშორებულია კა დეტების პროექტიდან, როგორც ეს უკანასკნელი მთავრობის აგრარულ პლანიდან. სამივე სრულებით სხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო, პრინციპებზეა აგებული და ეს ართულებს, აძნელებს ისედაც მძიმე საკითხს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ საკითხის ნიადაგზე აღმოცენდება ის კონფლიქტი მთავრობისა და სათათბიროს შორის, რომელსაც ასე ერიდება დღეს ოპოზიცია. მაგრამ **ამგვარი** კონფლიკტი, **ამ საკითხში** დაბადებული უთანხმოება საშიში არაა განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის: იგი საბოლოოდ პირისპირ დააყენებს ორ მეტად უთანასწორო ნაწილს; ერთის მხრით იქნებიან წარჩინებულ მემამულეთა მცირე ჯგუფის ინტერესთა დამცველნი, მეორეს მხრით დადგება მთელი დანარჩენი რუსეთი. მაშინ „ახალ რუსეთის" გამარჯვების მოახლოვებაც უეჭველი იქნება.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი**. საბიუჯეტო კომისია 8 ნაწილად გაჰყვეს: პირველს ჩაებარება სახელმწიფო კრედიტი და ხარჯთ-აღრიცხვა ფინანსთა სამინისტროსი; თავმჯდომარეა კუტლერი; მეორეს—სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა; თავმჯდომარე კუზმინ-კარავაევი; მესამეს—ხარჯთ-აღრიცხვა უმაღლეს დაწესებულებათა, იუსტიციის სამინისტროსი, სინოდისა და სახელმწიფო კონტროლსა; თავმჯდომარე როდიჩევი; მეოთხეს—მიწათ-მოქმედების სამინისტროსი და ცხენების მომშენებელ მთავარ სამმართველოსი; თავმჯდომარე ტატარინოვი; მეხუთე შინაგან საქმეთა სამინისტროსი; თავმჯდომარე სტრუვე; მეექვსე—გზათა სამინისტროსი, რკინის გზათა დეპარტამენტისა; თავმჯდომარე ფედოროვი; მეშვიდე—საგარეო და ვაჭრობის სამინისტროსი; თავმჯდომარე ფედოროვი; მერვე—საერო განათლების სამინისტროსი, თავმჯდომარე რეინი. კომისიამ დაადგინა, მოიწვიოს არა დეპუტატი სპეციალისტები.

როგორც სათათბიროს 439 წევრის განცხადებიდან სჩანს, დეპუტატთა შორის 29 მემარჯვ. 26 ოქტომბრისტი, 31 უპარტიო, 86 კადეტი, 18 კაზაკთა ფრაქციისა, 44 პოლონეთის კოლოსი, 26 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 82 შრომის ჯგუფისა, გლეხთა კავშირისა და უკრაინელი, 13 სახალხო სოციალისტი, 31 ს.-რევოლიუციონერი და 54 ს.-დემოკრატი.

სახელმწიფო კონტროლიორმა წარუდგინა სათათბიროს 1905 წლის ანგარიში.

საფინანსო კომისიამ თავმჯდომარედ კუტლერი აირჩია, ხოლო მდივნად სალტიკოვი.

უპარტიოთა შეერთებულმა ჯგუფმა დაადგინა, მიიღოს მონაწილეობა ოპოზიციის საინფორმაციო ბიუროში. ბიუროში წარმომადგენლად აირჩიეს მიხეილ სტახოვიჩი და მალეევი. ჯგუფმა ყველა კომისიაში დაასახელა თავისი კანდიდატები. აირჩია აგრეთვე კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მთავრობის კანონ-პროექტი სინიდისის თავისუფლების შესახებ.

**სათათბიროს სხდომა.** 22 მარტს სხდომა დაიწყო 11 საათსა და 14 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით. დაესწრო მინისტრი კოკოვცევი. წაიკითხეს სია მთავრობის მიერ შეტანილ ახალ კანონ-პროექტებისა. ამ დღეს სათათბიროს პირველად უნდა გადაეწყვიტა სახელმწიფო აღწერილობის განხილვის წეს-რიგი.

კარაჩევსკი-ვოლკმა სახალხო სოციალისტების სახელით სთქვა, რომ სათათბირო ფრთებ შეკვეცილია და საბიუჯეტო საქმეში თითქმის არავითარი უფლება არა აქვს, ჩვენი პარტია თავისს თავზე ვერ მიიღებს პასუხის მგებლობას ბიუჯეტის დამტკიცების საქმეში.

სტეცკიმ პოლონელთა კოლოს სახელით განაცხადა, რომ კოლო მონაწილეობას მიიღებს ბიუჯეტის გამო კენჭის ყრაში მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხის ხმამ მთავრობაზე გავლენა იქონიოსო. შემდეგ ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა პოლონეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და რუსის მთავრობის პოლონეთისადმი მტრობაზე და დაასკვნა, რომ შეუძლებელია დაცულ იქმნას პოლონეთის ინტერესი, სანამ მცხოვრებნი არ აღიჭურვებიან იმ უფლებით, რომ თავიანთ ნებით, დამოუკიდებლად გაანაწილონ თანხა, პოლონეთის შემოსავლიდან შემდგარი ეს თანხა ავტონომიურ სეიმის ხელში იქნება. თანხის ერთი ნაწილი სახელმწიფოს საერთო საჭიროებისთვის გადაიდება. ჩვენ, პოლონეთის სამეფოს და მასთან მჭიდროდ შეკავშირებულ ჩრდილოეთის და სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიების წარმომადგენელნი, დაათავა ორატორმა, საუკუნოდ განვაგრძობთ ბრძოლას უფლებათა გათანასწორებისა და საკუთარ მმართველობისათვისაო.

სიტყვის ნება ფინანსთა მინისტრს მიეცა. დეპუტატები თავ-თავიანთ ადგილებისკენ გაეშურნენ. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

კოკოვცევი: წინა ორატორი ისეთ საკითხს შეეხო, რომელსაც ბიუჯეტთან საერთო არა აქვს რა. ამიტომ მე ვეცდები, სათათბირო ისევ ბიუჯეტზე გადავიდეს. მთავრობის ღირსების შელახვა იქმნება პასუხი გავცეთ იმ აზრს, ვითომ ბიუროკრატიული წეს-წყობილება ხალხის მტერია. აქ ხალხის მტერი არავინაა. აქ ხალხის წარმომადგენლები არიან, რომელნიც მეფის სურვილით მოიწვიეს, რომ გვაცნობონ ხალხის საჭიროება; აქ მთავრობაა, რომელიც მეფისავე სურვილით მოწოდებულია გულდასმით მოუსმინოს ხალხის წარმომადგენლებს და შეძლებისა დაგვარად გამოსძებნოს საშვალებანი გაჭირვების წინააღმდეგ და ამით აღასრულოს თავისი მოვალეობა მეფისა და მამულის წინაშე (ტაში მარჯვნივ). წინა ორატორი პოლონეთის ავტონომიაზე ლაპარაკობდა, პოლონეთის ავტონომიურ სეიმზე. ბიუჯეტში ნასახიც არ არის ამ დაწესებულებებისა. მაგრამ ფინანსთა მინისტრის ანგარიშს თუ განვიხილავთ და დავაკვირდებით პოლონეთს და იმას, თუ პოლონელებს ბიუჯეტში რა ადგილი უჭირავთ, გავიგებთ, რამდენი შემოსავალი შემოსდის რუსის ხაზინას პოლონეთიდან და რამდენი რუსეთის საერთო ფული იხარჯება მაზე. (ტაში მარჯვნივ). გაიგებთ, რომ ხაზინას პოლონეთიდან არავითარი მოგება არა აქვს. იოანნე კალიტიდან მოყოლებული დღემდის რუსის ხალხი ათასობით და ასი-ათასობით ხარჯავს ფულს პოლონეთის კულტურულ ცხოვრებისათვის (მარცხნივ მოძრაობა, მარჯვნივ ტაში). რუსეთმა გაამაგრა საზღვრები, რომელმაც დაიცვა პოლონეთი უცხოელთა შემოსევისაგან. რუსეთმა საშუალება მი-

სუა კულტურის აღორძინებას, რომლითაც ახლა ქვეყანა პოლონეთი. თუ რუსეთს იქ ბევრი ჯარი ჰყავს, ეს სიკიროა, რომ დაცულ იქნას პოლონეთი, როგორც ნაწილი დიდი რუსეთის სახელმწიფოსი (ტაში მარჯვნივ). საკითხს ავტონომიის შესახებ, საკითხს მერის მინაჯა, როგორც უწოდებთ მთავრობას, საერთო არაფერი აქვს ბიუჯეტთან. შეუძლებელია პასუხი არ გავცეთ საუკუნე ბრძოლის მოწოდებებს. ხალხთა უფლებების განთავისუფლება იმითით დაბრკოლდა, რომ ერთობლ კიდევ ილაპარაკა შეუვიწროებაზე. ხალხის შესავალს ნაცვლად კი ის იხარჯება ფული, არამედ სახელმწიფო მექანიზმის მოძრაობის მოსაყვანად, რათა სახელმწიფო მართვა-გამგეობა არ შეჩერდეს, არამედ განაგრძოს ის გზა, რომელიც უანდერმა მას ისტორიამ. (მარჯვნივ ტაში).

**ჟუკოვსკი** არ დაეთანხმა კოკოვცევს, ვითომ პოლონეთის შემოსავალ ხარჯი სჭარბობდეს. მან ჰკითხა მინისტრს: მართალია, რომ სახელმწიფო ბანკი ფიქრობს, პოლონეთის გუბერნიებში სარგებლიან ქაღალდების პროცენტები გაადიდოს? ორატორმა არსებითად გაარჩია ბიუჯეტის ცალკე ნაწილები და მოიყვანა დაწვრილებითი საბუთები იმისა, რომ პოლონეთში ფული უკანონოდ დაუხარჯავთ. განსაკუთრებით ორატორმა ყურადღება მიაქცია რკინის გზის საქმეს და არყის მონოპოლიას და აღნიშნა, რომ დეფექტები უფრო თვალ საჩინო შეიქმნა მას შემდეგ, რაც ნიჭიერი ხელმძღვანელნი საქმეს ჩამოშორდნენო. ბოლოს ორატორმა განაცხადა, საჭიროა საფინანსო მეურნეობის სრული დეცენტრალიზაციაო.

შემდეგ სიტყვა ხელ-ახლა ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა დაიწყო. მემარცხენეთ მოძრაობა დაეტყოთ; ზოგგან შეკავებული იყო.

**კოკოვცევი.** მინისტრი შეეხო ჟუკოვსკის სიტყვას. მან განაცხადა, არც სახელმწიფო ბანკს, არც ფინანსთა მინისტრს არ განუზრახავთ პოლონეთის გუბერნიებისათვის სადისკონტო პროცენტების აწევა. ათის წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრო უარს-ჰყოფდა ასეთ განზრახვას. ამ მხრივ მთელ რუსეთში ერთნაირი წესით. მინისტრი შეეხო აგრეთვე ჟუკოვსკის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც იგი რკინის გზებზე ლაპარაკობდა და სთქვა, რომ ეს საქმე ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში არ შედისო. არყის მონოპოლიის შესახებ მინისტრმა შენიშნა, რომ უფრო ნიჭიერი წარმომადგენელნი სახელმწიფო მეურნეობის ამ დარგისა არც წინად განაგებდნენ არყის საქმეს. მაშინაც და ეხლაც ამ საქმეს უფრო ნაკლებ ნიჭიერნი, ესე იგი უფრო პატარა მოხელენი უძღვებიანო. დასასრულ სახაზინო მეურნეობის დეცენტრალიზაციის შესახებ მინისტრმა სთქვა, ეს საქმე ძალიან რთულია და ფრთხილად უნდა მოვეპყროთო.

სხდომა შესწყდა 1 ს. 45 წუთზე და ისევ განახლდა 3 საათზე.

**ალექსინსკიმ** მეტად გძელი სიტყვა წარმოსთქვა. მან უსაყვედურა კადეტებს, თქვენც ისევე ვიწროდ უყურებთ საფინანსო მეურნეობას, როგორც ფინანსთა მინისტრიო. საფინანსო მეურნეობა სახელმწიფოებრივ იდეას კი არა, ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. საგარეო პოლიტიკაში რუსეთის მთავრობა საერთაშორისო ჟანდარმის როლს თამაშობს და დაპყრობის პოლიტიკას მისდევს, რამაც დაჰბადა შორეულ აღმოსავლეთის ავანტიურა. შინაურ პოლიტიკაშიაც საფინანსო მეურნეობა ისეა დაყენებული, რომ იგი ხალხის, მუშებისა და გლეხების ინტერესების დაკმაყოფილებას როდი ემსახურება. ორატორი დაწვრილებით შეეხო ცალკე ხარჯებს. ბევრი ილაპარაკა პრივილეგიით აღჭურვილ კლასების მფარველობაზე, მოიყვანა ადგილები დიდ-ძალ წიგნებსა და გაზეთებიდან. დეპუტატმა კელეპოვსკიმ რამდენჯერმე შეაწყვეტინა სიტყვა ალექსინსკის. ამის გამო თავმჯდომარემ მოაგონა კელეპოვსკის მე-38 მუხლის არსებობა. ალექსინსკიმ მოიყვანა ინგლისელ გაზეთების აზრი პირველ სათათბიროს დათხოვნის შესახებ. გაზეთებში ნათქვამი იყო, რომ მთავრობის ასეთი მოქმედება ვერაგულიაო. როდესაც ალექსინსკიმ ეს ადგილი წაიკითხა, პურიშკევიჩმა, ბობრინსკიმ, კრუპენსკიმ და კელეპოვსკიმ განაცხადეს, ჩვენ მივდივართ იმ დარბაზიდან, სადაც მეფეს შეურაცხყოფას აყენებენ, რადგან პირველი სათათბირო მთავრობამ კი არა, მეფემ დაითხოვაო. თავმჯდომარემ მიუგო: აქ არავითარი შეურაცხყოფა არ არის, რადგან ალექსინსკიმ მოიყვანა ინგლისურ ჟურნალის აზრი და არა თავისიო. ალექსინსკიმ თავისი სიტყვა ასე გაათავა: თუ ხალხის წარმომადგენლებს არ შეუძლიანთ გადასახადთა ტვირთვის შემცირება, მათ პირდაპირ, კომისიაში გადაუცემლად, უარი უნდა განაცხადონ ბიუჯეტის დამტკიცებაზეო.

**შიდლოვსკი:** სათათბიროს საბიუჯეტო უფლებისათვის ბრძოლა შეუძლიანთ იმათ, ვისაც ამისთვის ცოდნა შესწევს. ასეთი ცოდნა ხალხის წარმომადგენლებს ჯერ არ გამოუჩენიათო. ორატორი წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ბიუჯეტის განხილვას.

**როდიჩევი:** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა თავის დეკლარაციაში, რომ იგი ეძიებს ნიადაგს სათათბიროსათვის საერთო მუშაობისათვის. ამ ორი დღის წინად მთავრობამ პირველად განუმარტა სათათბიროს თავისი სამეურნეო-სახალხო გეგმები. სათათბირო აღსავსეა სურვილით, რათა ხარჯთ-აღრიცხვის მიმართ თავისი მოვალეობა შეასრულოს. ამ მუშაობის ნაყოფიერებისათვის პირველი საგანია: მთავრობისა და სათათბიროს საურთიერთო შეგნება. დღეს ჩვენ გამოგვიცხადეს, სათათბიროს მოვალეობაა მთავრობას ხალხის მოთხოვნილება აცნობოსო, ხოლო სათათბირო არა კანონებზე მოთათბირე, არამედ კანონმდებელი დაწესებულებაა. ხალხის წარმომადგენლებს პატრიოტიზმის შესახებ არ უნდა ელაპარაკონ: სამშობლო თვით ჩვენა ვართ, და ვინც ჩვენი თავის სიყვარულის შესახებ გველაპარაკება, არ ესმის სახალხო წარმომადგენლობის ნამდვილი მნიშვნელობა, ცოტათი აზვიადებს იმ როლს, რომლის განმარტვისათვის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თუ იგი კანონიერ საზღვარს არ სცილდება. ჩვენ გვეგონა, რომ მთავრობა არა ფორმალურ, არამედ სახალხო სამეურნეო თვალთა-ხედვის წერტილზე დამყარდებოდა. ჩვენ ველოდით საფინანსო რეფორმების გეგმას, რომელიც საჭიროა ჩვენი სამშობლოსა და იმისი სამეურნეო წყობილების განახლებისათვის, და შეხვდით თითეული მუხლის ფორმალურ დაცვას. თუ ისევ ძველის გზით სიარულს განვაგრძობთ, ამით საქმის ვითარება არ გამოიცვლება და ვიცით სადაც მიგვიყვანს ეს რელსები. მაშინ საბიუჯეტო კომისიაში ჩვენ ნამდვილად დავინახავთ მთავრობას, რომელიც შეუდგა განხორციელებას თავის დაპირებისას ეკონომიის კეთილსინდისიერ წყაროების აღმოჩენის შესახებ, მაშინ დავინახავთ, რომ სამინისტრო ეძიებს სათათბიროს თანხმობას იქ, სადაც თითონ ერიდება ამ საქმეს. როცა სამინისტრო საბუთად მოიყვანს არა მუხლების სისწორეს, არამედ სწორი მეურნეობის პრინციპს; მაშინ ჩვენ ვიტყვით: დიახ, შეთანხმების გზა ნაპოვნია; ეს არის მარტივი გზა დაპირებისა და კანონების ასრულებისა; ამ დაპირების შესრულება შესაძლებელია, არეულობის მიუხედავად. კეთილ სინდისიერნი იყავით რეფორმასა და თქვენგან გამოცხადებულ პრინციპების შემოღებაში: უკრყავით სახელმწიფო საჭიროების გამხრწნელი თვალთა-ხედვის წერტილი. რუსეთის სახელმწიფო საჭიროებას ამ ჟამად შეადგენს შეერთებული, წრფელი, გონივრული განხორციელება საკონსტიტუციო წესწყობილებისა, კეთილსინდისიერი აღიარება მოქალაქის უფლებისა, სახალხო წარმომადგენლობის უფლებისა (ტაში ცემა მემარცხენეებისა და ცენტრის). ეს ერთად ერთი გზაა, რომლითაც ჩვენ ქვეყანას შეუძლია არეულობიდან გამოვიდეს. არეულობა—დაღებული გაკვეთილია მმართველობისათვის. ჯერ კიდევ დრო არის ამის შესაგნებლად, ჯერ კიდევ დრო არის იმისათვის, რათა მიხვიდეთ ხალხის წარმომადგენლებთან არა ფარული ბოროტგრძნობით, არამედ აშკარა ნდობით, არა შეთქმულებებით, რომლითაც იგი ყოველმხრივ გარემოცულია, არა ჩრდილებით, რომლებიც შესაძლებელია მთავრობის წარმომადგენლების უკან დგანან. საჯარო მოქმედებისა და პოლიტიკური პატიოსნების ერთად-ერთი გზა დაიხსნის დღეს რუსეთს. ეხლა ჩვენცა ვდგევართ ისტორიის სამსჯავროს წინაშე. იქნება ჩვენც დანაშაულად ჩაგვითვალოს რუსეთის ხალხის ისტორიამ, რომ სიტყვებს „ვერ დაგვაშინებთ“ დუმილით უპასუხეთ, ჩავიხრჩეთ ხმა ექვისა, რომელიც გვეუბნებოდა: „ვერ მოგვატყუებთ“-ო, მომავალი უნდა იყოს სათათბიროსთან საერთო მუშაობა, და არა იმის წინააღმდეგ გამოლაშქრება, არა ვაჭრობა მოქმედების ფორმალური მხარეების გამო, არა უარყოფა არსებითად პასუხის გაცემისა, არა ადვილი აღტაცება შეუმოწმებელ საბუთებზე დამყარებული. მეორე მხრივ გვეუბნებიან, რომ სათათბირო—ნოლია. ხოლო როცა სათათბიროში გამოცხადდით, თქვენ თითონ იკისრეთ ვალდებულება უფლებისათვის ყოველდღიური ბრძოლისა, იკისრეთ ვალდებულება გულისხმობისა, რომ თქვენი მოწინაამდეგე კეთილ-სინდისიერია. სახალხო წარმომადგენლობა ნოლი არ არის, იგი პირველი აქტი ხალხის ნების არა სრულ—თავისუფალ გამოცხადებისა, იგი თავისუფლად გამოვა უფლების ფართო სარბიელზე და თან ჩვენ ქვეყანასაც გამოიყვანს.

კაპუსტინმა, პურიშკევიჩმა, რობრინსკიმ და კუტლერმა განაცხადეს, რადგან გვიანა, ჩვენ მეორე დღეს წარმოვსთქვათ სიტყვებსაო.

სათათბიროს მოხსენდა, რომ 59 დეპუტატმა შეიტანა კანონ-პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

თავმჯდომარემ სთქვა: 32 წევრმა განცხადება შემოიტანა. განცხადებაში ნათქვამია, რომ თავმჯდომარეს ნება არ უნდა მიეცა ალექსინსკისთვის წაეკითხა ინგლისურ გაზეთების აზრი სათათბიროს გარეკას შესახებ, ამ განცხადების გამო თავმჯდომარემ სთქვა: რადგან ამ განცხადებას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, იგი კრების ჟურნალში ჩაიკერებაო (ტაში მარცხნივ, ცენტრში და მარჯვნივ. ხმები, „ჰო, კარგია“.)

სხდომა დაიხურა 5 ს. და 50 წუთზე. შემდეგ სხდომაზე განაგრძობენ კამათს ბიუჯეტის შესახებ, დარჩა 26 ორატორი.

# ახალი ამბავი

✦ **მღვდლის მოკვლა.** როგორც შორაპნის მაზრიდან გვატყობინებენ, 20 მარტს ვილაცებს მოუკლავთ სფერის მღვდელი ღენტურ [illegible] და სოფელ [illegible] ლუეთის მცხოვრები გლეხი ბიწაძე. ამ დღეს დილით სფერში მღ. წერეთელთან მისულა სამი ცხენოსანი, საპოლიციო დარაჯების ფორმაში გამოწყობილნი, და თან მიუყვანიათ ბიწაძე. უცნობებს მღვდლისათვის უთქვამთ, სოფელ ცხრუკეთში მღ. ნიკოლოოზ წერეთლისას გაჩერდა ბოქაული, გამოძიებას ახდენს, თქვენ გიბარებთ და უნდა წამოხვიდეთო. მღვდელი წაჰყოლია. როცა მიახლოვებიან ნიკოლოზ წერეთლის სახლს, წინ დახვედრიათ მეოთხე უცნობი, დარაჯისავე ფორმაში გამოწყობილი, რომელსაც უთქვამს, ბოქაული ხევში გადავიდა, სადაც ამას წინად აფრასიონ მერკვილაძე მოჰკლეს, და უნდა ადგილობრივ წავიდეთო. წასულან ხევში, როცა ჩასულან, დაუხლიათ თოფები და ორივე მოუკლავთ. ამის შემდეგ უცნობები მიმალულან. ეს ამბავი უცნობებიათ მაზრის უფროსისათვის ზესტაფონში, საიდან.ც მეორე დღეს წასულა ბოქაული მახარაძე დარაჯების თანხლებით.

✦ **არ შემდგარი კრება.** 22 მარტს, ქალაქის თავის თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა ნოქრების კრება. კრებას უნდა აერჩია 6 კაცი ნოქრების წარმომადგენლებად იმ კომისიაში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მუშაობა-დასვენების დრო. საბჭოს დარბაზს იმდენი ნოქარი და კანტორებში მოსამსახურე მიაწყდა, რომ ტევა აღარ იყო. თავმჯდომარემ განაცხადა, ყოვლად შეუძლებელია არჩევნების მოხდენა, რადგან ვერ შევამოწმებთ, რომელთ აქვს უფლება კრებაზე დასწრებისა და რომელს არაო. ამიტომ ეხლა კერძო მოლაპარაკება მოვახდინოთო. შეუდგნენ კერძო თათბირს—თავმჯდომარის დასახელებას. ხელის აწევით უმრავლესობამ დაასახელა საროცკი, უმცირესობამ—გალუსტიანი. ასტყდა ამაზე ხმაურობა და ყვირილი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ თავ. ჩერქეზიშვილმა კრება დახურა.

✦ **წესდების არ დამტკიცება.** ტფ. გუბერნატორმა არ დაამტკიცა მეჩექმეთა, თამბაქოს ქარხნების მუშათა და მხატვრების პროფესიონალურ კავშირების წესები. ამ კავშირების ბიუროებს წინადადება მიეცათ, გადააკეთონ წესდების პროექტები.

✦ **პოლიციელის დაჭრა.** 22 მარტს საღამოს 8 საათზედ მეექვსე ქუჩაზედ გოროდოვოი პასენკოსთან ერთად მიმავალა მეორე ნაწილის ბოქაულის თანაშემწეობის აღმასრულებელი სემენოვ[illegible]

# ფელეტონი

## ქართველები ჟენევასა და პარიზში

(შთაბეჭდილებანი)

ჩამოვა თუ არა ვინმე ქართველი დასავლეთ ევროპიდან, მისი ნაცნობები სალამის უმალვე შეეკითხებიან ხოლმე: რამდენი ქართველია ამა და ამ ქალაქში, მუშაობენ თუ არა, იძლევა ვინმე იმედს და ამ ცოტა ხანებში ჩვენს ღარიბ საზოგადო მოღვაწეთა გუნდს მოემატება თუ არა რამდენიმე სერიოზულად მომზადებული მუშაკიო. ასეთი ცნობის მოყვარეობა და ინტერესი ცხრა მთას იქით გადაკარგულ თანამემამულეებისადმი ადვილი გასაგებია: საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი საქართველოში არც თუ როდისმე ყოფილა გაჭედილი სერიოზულ ცოდნით აღჭურვილ მუშაკებით, მაგრამ ეს ნაკლულოვანება და სიმცირე საზოგადო მოღვაწეებისა ყველასთვის ცხადი და საგრძნობელია უკანასკნელ ხანებში, როცა დაწიოკებული და აოხრებული საქართველო გარშემო იყურებოდა და მორალურ და ქონებრივ დახმარებას თხოულობდა. მაგრამ სწორედ ამ დროს ყველანი თითქო სადღაც მიიმალნენ, მიყუჩდნენ და სრულიად დაცარიელდა ის მინდორი, საიდანაც ასეთ დროს უნდა გვსმენოდა გასამხნევებელი სიტყვა, იმედი და მედგარი მოწოდება შელახულ და შერცხვენილ ეროვნულ თავმოყვარეობის დასაცავად. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ობლად დარჩენილი ერთი მუჭა იდეიური საზოგადოება დასავლეთ ევროპისკენ ან ჩრდილოეთისკენ იყურება და იქაურ ქართველ ახალგაზდობაში ეძებს იმ ელემენტებს, რომლებიდანაც უნდა შესდგეს მომავალ ქართველ მოღვაწეთა გული და რომელსაც უნდა გადაეცეს ჩვენი მეტად დახლართული და ტალახში ამოვლებული საზოგადოებრივი გორგალი. მე, რასაკვირველია, არ ვაპირობ, ვითომ ჩვენს მხსნელს ქართველი საზოგადოება უეჭველად დასავლეთ ევროპიდან ან ჩრდილოეთიდან მოელის მეთქი; ჩვენ იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენი ახალგაზდობა იზდება, ერთსა და ორ გენიოსს არ ვეძებთ, რომელნიც მთელ ერს ვერ იხსნიან, მაგრამ სრული უფლება გვაქვს ჩავუკვირდეთ ჩვენ ახალგაზდა მოსწავლეთა ცხოვრებას და გავიგოთ, როგორი თაობა მოგვდევს უკან და მოიძებნება თუ არა ამოდენა ახალგაზდობაში იდეიურად მტკიცე, მეცნიერულად მომზადებული და სერიოზულად აღზრდილი პატარა გუნდი, რომელიც დღეს თუ ხვალ გვერდში უნდა ამოუდგეს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენს მომავალ საქმეს დიდებულ უფლებების მოსაპოვებლად.

ეხლავე უნდა გამოვტყდე და ვთქვა: მე აქედან დარწმუნებული წაველი, რომ იქ, დასავლეთ ევროპაში ვნახავდი ისეთსა და იმგვარ ახალგაზდობას (ქართველ ახალგაზდობაზე ვლაპარაკობ), როგორიც მე მქონდა წარმოდგენილი. ვფიქრობდი: ამ საიმედო წელიწადში ჩვენმა ქვეყანამ იმოდენა ტანჯვა-ვაება განიცადა და ხალხიც ფსიხიურად იმდენად შეიცვალა, რომ ეს ცვლილება აუცილებლად უნდა დაეტყოს ჩვენს მოსწავლე თაობასაც, რომელიც ძალაუნებურად დაანებებდა თავს წინანდელ ჩვეულებრივ უსაქმურობას, სიზარმაცეს, ქარაფშუტობას და უკვე გამოცდილი, ცხოვრებაში ნასწავლი და შავ დღეებში გაწვრთნილი ახალ იარაღით შეუდგებოდა მეთქი ახალ იდეის გამოჭედვას. მაგრამ ნათქვამია, ისტორია არავის არაფერსაც არ ასწავლისო და ეს თქმულება სწორედ ქართველებზეა გამოჭრილი.

მაგრამ გადავიდეთ საგანზე. არაფერს ვიტყვი ევროპის სხვა ქალაქების ქართველებზე, რადგან ზოგ ქალაქში, სადაც ბლომად არიან ქართველები, სულ არ ვყოფილვარ, ზოგში კი მხოლოდ რამდენიმე დღით გავჩერებულვარ და ასეთ მცირე ხანში მათ შინაურ ცხოვრების გაცნობას, რასაკვირველია, ვერ მოვასწრობდი.

ჟენევაში ზაფხულის მიწურულს ჩაველი. უნივერსიტეტი დაკეტილი იყო და სტუდენტობა საზაფხულოდ იყო დათხოვნილი. ქართველების ერთი ნაწილი სამშობლოში იყო წამოსული, ერთი ნაწილი კი შვეიცარიის სოფლებსა და მთებში იყო გაფანტული. ჟენევაში იმ დროს 25 თუ 30 ქართველი სტუდენტი დამხვდა. ახლად ჩამოსული კაცი საქართველოდან ჟენეველ ქართველებისთვის დიდი ამბავი იყო, რადგან ყველას უნდოდა ახალ ამბების გაგება და დაწვრილებით შეტყობა ყველა იმ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენათა, რომლის შესახებაც იმათ მხოლოდ გაზეთებიდან ჰქონდათ შეტყობილი—ისიც მოკლედ და ბუნდოვანად. დაიწყო გაცნობა, გამოკითხვა, მოგონებანი და ჩვეულებრივი სიტყვა-პასუხი. პირველ ხანებში მიკვირდა მათი გადაჭარბებული ცნობის მოყვარეობა. მათ სურდათ გაეგოთ ყველაფერი: საერთო პოლიტიკური მდგომარეობა საზოგადოდ რუსეთში და კერძოდ—საქართველოში, რევოლიუციის მსვლელობა, მომქმედ პარტიათა ურთიერთობა, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, ხალხის იმ დროინდელი ფსიხოლოგია, ახლად დამდგარ რეაქციის მოქმედება; უნდოდათ დაწვრილებით გაეგოთ შიო ჩიტაძის მოკვლა, მერკვილაძის რაზმის ნამდვილი დაფასება, მოძრაობის დახასიათება ცალ-ცალკე: გურიაში, სამეგრელოში და ქართლში, ქართულ ჟურნალ-გაზეთების ბედ-იღბალი და ათასი წვრილმანი რამე. ახლად გაცნობილი ამ კითხვებს თავიდან იწყებდა და მეც ახლად ვიწყობდი გაზეპირებულ პასუხს და ბოლოს ორივე მხარე გაკვირვებული ვრჩებოდით: იმათ უკვირდათ, რომ არც რუსეთსა და არც საქართველოში ახალი არაფერი მომხდარა და ყველაფერი, რაც მე ვუამბე, ჟურნალ-გაზეთებში ჰქონდათ წაკითხული და ამიტომ ჩემი ნაამბობი დაძველებულ ამბად მიაჩნდათ. მეც მიკვირდა მათი სიწვრილმანე და უსაზღვრო ცნობის მოყვარეობა, მაგრამ... ოთხი დღის შემდეგ ჟენევაში ახლად ჩამოსულ ქართველს შევხვდი, რომელიც ტფილისიდან ორი დღით ჩემზე გვიან წამოსულიყო და მეც ის ამბავი დამემართა, რაც სხვებს: მოუთმენლად ველოდი მისგან ახალ ამბის შეტყობას და ისეთ კითხვებს ვაძლევდი, თითქო ათი წელიწადი არ მენახოს სამშობლო.

ერთი კვირის შემდეგ ყველა ჟენეველ ქართველებს ვიცნობდი. კარლ ფოგტის ბულვარზე არის ერთი ადგილი, სადაც ქართველები იყრიან თავს: ეს არის ქართული სამკითხველო და ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებულია ორ დიდ ოთახში და თავის მორთულობით გაცილებით სჯობია რუსების ბიბლიოთეკებს. ამ სამკითხველოზე ბ-ნმა პეტრე ზუბალაშვილმა რამდენიმე ათასი მანეთი დახარჯა, დაარსა პატარა ბიბლიოთეკაც, სადაც მოიძებნება რამდენიმე ძვირფასი ფრანგული გამოცემა, ორმოციოდე სერიოზული რუსული წიგნი და შემდეგშიაც აღუთქვა წიგნებისა და გაზეთების გამოწერა, ბინის ქირის გადახდა და იკისრა ყველა ხარჯი, რომელიც სამკითხველოს შენახვას დასჭირდება და ეს მშვენივრად მოწყობილი პატარა ბიბლიოთეკა გადასცა ქართველ სტუდენტებს იმ პირობით, რომ თუ ვინიცობაა სამკითხველო დაიკეტა, წიგნები და სხვა მოწყობილობა წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცეს. ამ ბიბლიოთეკის გარშემო იკრიბებოდნენ ქართველები, მხოლოდ ეს ბიბლიოთეკა აერთებდა მათ და ხშირად მწვავე კამათისა, პარტიულ შეჯახებისა და ერთმანეთის სალანძღავ მასალას აძლევდა უამისოდაც პარტიობისა, კინკლაობისა და ლანძღვა-გინების მოყვარულ ქართველობას, რომელიც ამიერიდან უპარტიოდ ისე ვერ იცოცხლებს, როგორც თევზი უწყლოდ. ორი ქართველი რომ გადაასახლოთ ჩრდილოეთ პოლიუსზე და იქ დასტოვოთ მარტოდ-მარტო, მაშინაც ვერ გასძლებენ, უეჭველად ჩხუბი მოუვათ პროლეტარიზაციის თეორიაზე კამათის დროს და ერთი ერთმანეთს ხულიგანებად და ხალხის მტრად გამოაცხადებენ

ქუჩაზე შეხვედრიან ვიღაც უცნობს. ბოქაულის ბრძანებით, პოლიციელი შესდგომია იმის ჩხრეკას. უცნობს ჩუმად ამოუღია რევოლვერი, დაუწყია სროლა, პასენკო დაუჭრია და მერე მიმალულა. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **მკვლელობა.** გუშინ, 23 მარტს, დილის 11 საათზედ, შუა ბაზარში, ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა ტფ. მოქალაქე გრიგოლ სარინოვი. მოკლულის გვამი საავადმყოფოში გაგზავნეს. მკვლელი მიიმალა.

✦ **ცნობები მუშების შესახებ.** ტფ. ქალაქის გამგეობა შეუდგა იმ მოხსენების შედგენას, რომელიც ქალაქის დაწესებულებათა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება. გამგეობამ თავის დაწესებულებებს წინადადება მისცა, წარუდგინონ დაწვრილებითი ცნობები მუშების შესახებ.

✦ **დახმარება.** ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის ბიურომ გადასწყვიტა, ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს უსაქმოდ დარჩენილ ასოთამწყობებს. ცოლ-შვილიანს დღიურად მიეცემა 30 კაპ., მარტო ხელს 20 კაპ.

✦ **დაპატიმრება.** ელისაბედის ქუჩაზე პოლიციის მე-9 ნაწილის მოხელეებმა დააპატიმრეს აპოლონ მიგრელაძე, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა 475 პროკლამაცია. დაპატიმრებული საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** დააჯარიმეს დამნაშავეთა დაფარვისთვის გორის მაზრის სოფელ გვერძანეთის მცხოვრებნი სამ-სამ მანეთით. ებრძანათ საგ.-გუბერნატოროდან წასვლა: ინსკანდერ მუხულლა ოღლის—ნებადაურთველად იარაღის ტარებისთვის; კონ. რევაზოვსა და ჭელიძეს, რომელთაც გაფიცვის მოსახდენად აგიტაციას აბრალებენ, სვიმონ ჯიქიას, რომელსაც ჯარში პროპაგანდის გაწევას აბრალებენ.

✦ **მთხოვრების დაპატიმრება.** 21 მარტს პოლიციელებმა ქალაქში 60 მთხოვარი დააპატიმრეს.

✦ 7 აპრილს ტფილისის სარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართული იქნება სტუდენტთა საღამო.

✦ ტფ. მაჰმადიანმა ვაჭრებმა სთხოვეს ქალაქის სასწავლებელთა კომისიას იშუამდგომლოს, რომ მაჰმადიანებს ნება მიეცეთ დაარსონ საღამოს კურსები ნოქრებისათვის.

✦ პოლიციამ ამ დღეებში დააპატიმრა ზაქარია ფურცელაძე, რომელიც პოლიციის ცნობებით ყალბ წარმოდგენისათვის ყალბადვე შედგენილ ბილეთებს ასაღებდა თურმე.

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**სად. სანაინი** (ყარსის მხ.). 18 მარტს საღამოს 9 საათზე აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ცნობილი ავაზაკი არუთინ ზუბინოვი, რომელმაც წარსულ წელს რამდენიმე კაცი მოჰკლა და რომელიც დღემდის აღარ გამოჩენილა, 18 მარტს დაეცა აქაურ ვაჭრებს შავერდოვებს. წაიღო ბლომა ფული. 2 საათის შემდეგ მიუვარდა გზის ოსტატს ა. ი. დუდას, რომელთანაც სტუმრად იმყოფებოდა დეპოს უფროსი რევენკაფი თავის ცოლით, მისვლისთანავე დაიჭირეს დარაჯი და შეჰკრეს; მერე მოინდომეს სახლში შესვლა, მაგრამ კარები დაკეტილი დახვდათ. კარები არ გაუღეს. ავაზაკებმა ასტეხეს სროლა. ესროდნენ კარებს, ფანჯრებს. მძიმედ დაიჭრა გზის ოსტატი დუდა, მსუბუქად დეპოს უფროსი. ფანჯრიდან შევიდა ერთი და წაიღო, რაც ჰქონდათ. წაიღეს ოქროულობა. რევენკაფს წაართვეს 89 მანეთი და ოქროს საათი. დაჭრილები, ქალები და ბავშვები გულ-დახეთქილნი ისხდნენ მთელ ღამეს. დილის 6 საათი იყო, შეატყობინეს „ოხრანის" აფიცერს და ექიმს. როდესაც მივედით, საზარელი სანახავი იყო იქაურობა, ყველაფერი აქოთებული და ტყვიებით დახვრეტილი დაგვხვდა. დუდა ტფ. რკ. გზ. საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**მეელი-ბარელი.**

—

**ახალ-სენაკი.** 19 თებერვალს, ბატონყმობის გადავარდნის დღეს, სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებმა სწავლა შესწყვიტეს. ეს დღე მათ იდღესასწაულეს, როგორც საიუბილეო დღე მთელის რუსეთის მშრომელ ხალხისა. ამის გამო სასწავლებლის გამგეობამ სასწავლებლიდან გამორიცხა რვა მოწაფე. ოთხი მეორე კლასიდან და ოთხი—მესამედან. დანარჩენმა მოწაფეებმა მოსთხოვეს გამგეობას, დათხოვნილთა უკანვე მიღება, მაგრამ გამგეობამ ეს არ შეიწყნარა. ამან გამოიწვია არეულობა, მაგრამ საქმეში პოლიცია ჩაერია და შვიდამდე მოწაფე დააპატიმრა. მოსწავლეებმა გამგეობას ახლა განთავისუფლება მოსთხოვეს. გამგეობა, როგორც იყო, დასთანხმდა, მაგრამ იმ პირობით, რომ გამორიცხულ მოწაფეების შესახებ მათ კრინტი არ დაეძრათ. ამან იმოქმედა. გამგეობამ დაპატიმრებულნი განთავისუფლებინა პოლიციას. 17 მარტს მოწაფეებმა განაახლეს სწავლა.

**აქაური.**

—

**სოფ. მეტეხი** (ქართლი). ჩვენი სოფელი წამებულია მდინარე მტკვრისაგან. ხალხი იძულებულია ჭინახულით ან გუთნით დატვირთული ურემი გაიტან-გამოიტანოს ხოლმე მტკვარში. გასვლა გამოსვლაში მტკვარს ბევრი მუშა უმსხვერპლია. ნაშრომისა და პირუტყვი საქონლის მუდამ ზარალი ხომ უანგარიშოა, 11 მარტს ხალხს თათბირი ჰქონდა, როგორმე აიცილოს ამოდენა ზარალი. გადასწყვიტეს ბორნის გაკეთება, იმ პირობით-კი, რომ ყველას თანასწორი უფლება ჰქონოდა ხვნა-თესვისა იმ მიწებში, სადაც დღეს მხოლოდ მცირე რიცხვი მუშაობს. ამოარჩიეს კაცები მიწების გასანაწილებლად. ამოარჩიეს აგრეთვე კაცები ბორნის საქმის საწარმოებლად; დაადგინეს განაჩენი, გამოიტანონ ის თანხა, რომელიც ინახება გორის ხაზინაში გლეხთა საჭიროებისათვის. ეს ფული რამდენიმე წელიწადია იკრიფება.

იმედია, ამორჩეული პირები გულით მოეკიდებიან საქმეს, რომელიც დიდ შეღავათს და სარგებლობას მისცემს სოფელს. ბორნის გაკეთება მეტად საჭიროა, რადგან „რაზიეზდი", რომელიც პირდაპირ არის, ნათხოვნის სადგურად დარჩეს. თხოვნა გზის უფროსთან არის გაგზავნილი.

**უცხოელი.**

## „კახეთის" საზოგადოება და მუშები

ამ ორიოდე დღის წინად თელავში მოხდა წლიური კრება „კახეთის" მევენახეთა საზოგადოებისა. ხანგრძლივი და ცხარე კამათი ჰქონია კრებას „კახეთის" საზოგადოების მუშების შესახებ. საინტერესოდ მიგვაჩნია ამ კამათის გაცნობა მკითხველთათვის. მაგრამ ვიდრე ამ კამათს გავაცნობდეთ, მოკლედ ავღნიშნავთ საზოგადოების ალებ-მიცემობას.

საზოგადოებაში ყოფილა 164 წევრი, კახელი მემამულე. ამათ ჰქონიათ 866 დესეტინა ვენახი. როგორც დაბეჭდილ ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოების ერთი წლის (1905 წლის 1 ოქტომბრიდან 1906 წლის 1 ოქტომბრამდე) მოქმედების სურათი მოკლედ ამ ნაირი ყოფილა:

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ყველაზე სუსტი ვაჭრობა ამ წელიწადს ყოფილა: ასე 1904 წ. გაყიდულა 72,000 ვედრო ღვინო, სულ 248,000 მანეთისა; 1905 წ. 80,000 ვ.—263,000 მ., 1906 წ. კი 71,000 ვ.—240,000 მ.

კასის მთელი შემოსავალ-გასავალი 960,335 მ. 19 კ. ყოფილა. საზოგადოების მთელი თანხები შეადგინეს ერთად 178,321 მ. 25 კ.

გაზეთის მკითხველისთვის უფრო საყურადღებოა მიმდინარე ხარჯებში შემდეგი ციფრები: გამგეობის სამი წევრის შენახვა ჯდება წელიწადში 5400 მ, მოსამსახურეებისა და მუშებისა—26,700 მ., თითქმის ხუთ ჯერ მეტი. ამავე დროს განყოფილებებში გამგეებს ეძლევათ 10,100 მ., მოსამსახურეს და მუშებს კი მხოლოდ—11,900 მ., თითქმის იმდენივე რაც გამგეებს.

საინტერესოა რიცხვი მუშებისა და გამგეებისა, როგორც ტფილისში, ისე განყოფილებებში, მაგრამ ეს ანგარიშში არ არის, დაახლოვებით-კი ტფილისში 45-მდე მუშა და კანტორის მოსამსახურე უნდა იყოს (გამგე სამია), ტფილისს გარედ: მუშა და კანტორის მოსამსახურე არა ნაკლებ 30-სა, გამგე—5 (სულ შვიდი განყოფილებაა, მაგრამ ერთ გამგეს სამი განყოფილება აბარია).

მთელი წლის მოქმედების ნაყოფი ასეთია: მოგება ყოფილა მარტო ტაშკენტსა და სამარაში 852 მ. 74 კაპ. დანარჩენ ადგილებში-კი (ტფილისში, ბაქოში, მოსკოვში, ასხაბადში, პეტერბურგსა და გუმბრში) 15794 მ. და 09 ზარალი ყოფილა. საზოგადოდ, მაულის წარმოების ზარალი 14,941 მ. 35 კ., მთელის წარმოების შემოსავალ-გასავალი ამ წელს 3½ მილიონს აღემატება.

ეხლა მოგვყავს კრების ანგარიში ისე, როგორც ამას თელაველი კორესპონდენტი გვწერს. კრებამ გასტანა სამ დღეს და მუშებზე სამსავე დღეს ყოფილა ლაპარაკი. პირველ დღეს, 11 მარტს კერძო სჯა-ბაასი ჰქონიათ, რადგან ტფილისიდან მუშების წარმომადგენელს ელოდნენ მაგრამ ის არ ჩასულა.

როგორც ლაპარაკიდან გამოირკვა, გამგეობას უკანასკნელად ჯამაგირები მოუმატებია მუშებისათვის 1906 წლის მაისში. ეხლა იღებენ თვეში 26—33 მან. ჯამაგირების გარდა ეძლევათ დღეში თითო ბოთლი ღვინო, ჩაი, თვეში 3 გირ. შაქარი, 70 კაპ. აბანოს ფული თვეში, წელიწადში 1 თვე დასვენება ჯამაგირის შენახვით, საახალწლოდ და სააღდგომოდ საჩუქრები თვიურ ჯამაგირის ნახევარი და ღვინო. კრებაზედაც განაცხადეს და სარევიზიო კომისიის აქტიც შეჰნიშნავს, რომ მიუხედავად თან და თანობით ჯამაგირების მომატებისა, მუშების ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობისა, 8 საათის დღის შემოღებისა, სხვა და სხვა უფლების მინიჭებისა და სხვა, მუშები არა თუ შრომის ნაყოფიერობას უმატებენ, არამედ აკლებენ. ღვინის შეკვეთა თავ თავის დროზე არა სრულდება მუშების წყალობით, არც გარედ გასატანი ღვინო იგზავნება თავის დროზე, რის გამო საქმე ფერხდება. ბევრი ილაპარაკეს, თუ როგორ ეშველოს საქმეს, მაგრამ კრება ვერავითარ გარდაწყვეტილებას ვერ დაადგა. ზოგი როგორა სჩნდა, ზოგი როგორ.

„კახეთი"-ს მუშებს კრებისათვის შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ: „1. დაცულ (ალბად უზრუნველ ყოფილ) იქმნას ყველა ის მოპოვებული ეკონომიური უფლებები, რაც კი გვაქვს დღემდე; 2. ბიბლიოთეკა სამკითხველო ზალიში; 3. გაუმჯობესება ტეხნიკურის მხრით, რასაც თხოულობს წარმოებისათვის აუცილებლობა და 4. ჯამაგირების მომატება". ბოლოს დაასკვნენ: დაწვრილებით ზემოდ-აწერილი მოთხოვნილებანი აღნიშნული იქნება გაზეთის საშუალებით და იქიდან უნდა გაიგოთ ყველაფერიო.

შემდეგ კრებაზე, 13 მარტს, ისევ ჩამოვარდა ლაპარაკი მუშებზე. მუშების დელეგატი არც ამ დღეს გამოცხადდა. გაიმართა კამათი. ორატორები ამბობდნენ, რომ თუმცა სარდაფში შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე, მაგრამ ნამდვილად 3—4 საათს მუშაობენ.

თ. ი. ე. ვახვახიშვილმა მკაცრად ილაპარაკა მუშების [illegible] [illegible] არ არის, ბევრგან განხორციელებული 8 საათის სამუშაო დღე, თქვენ (გამგეობას ეუბნებოდა) შემოიღეთ, მაგრამ ამის ნახევარსაც არა მუშაობენ. ასეთ ადამიანს მე მუშას ვერ დაუძახებ, თუ არიან, წესიერად იმუშაონ, თუ არა და წავიდნენ. გავიწყდებათ, რომ 164 კაცის ბედ-იღბალი 40 კაცის ხელშია; თუ რაიმე კონფლიქტია მოსალოდნელი, მაშინ სრულებით გაანთავისუფლეთ მუშაობისაგან, ჯამაგირები-კი აძლიეთ, დაიქირავეთ ისეთები, რომელნიც წესიერად იმუშავებენ.

თ. მ. დ. ჩოლოყაშვილმა სთქვა: გამგეობა 12 წელიწადია მუშებს ამუშავებს და აქამდე ვერ გაიცნო წესიერად. საერთო მოძრაობამდე ისინი 7 ს. მუშაობდნენ, მოძრაობის შემდეგ 3-4 ს. ჩამოვიდნენ. ეხლავე უნდა გადასწყდეს მათ შესახებ საქმე, იმ დღესა სთქვეს, ჩვენც მოვითხოვოთ უკეთესი მუშაობა, ძალიან კარგი, მოვითხოვოთ. შეიძლება იყოს კონფლიქტი, მაგრამ, როგორც ვატყობ, კონფლიქტი აუცილებელია, ისინი არავის, არც ორგანიზაციას, არც კავშირს არ ემორჩილებიან, მუშებმა მეღვინე სარდაფში არ შეუშვეს, მათმა სამედიატორო სასამართლომ ისინივე გაამტყუნა, მაგრამ არ დაემორჩილნენ. აი მაშინ უნდა ესარგებლა გამგეობას.

თ. დ. გ. ჯორჯაძე—თ. აბაშიძემ სთქვა გამგეობის წევრებმა სარდაფში რა უნდა გააკეთონო. უყურონ, ბატონო, როგორ მუშაობენ მუშები. სხვა არა იყოს რა, კრების დადგენილებას გაიგებენ მუშები, იფიქრებენ, ამხანაგობა აღარა ხუმრობსო. რაც შეეხება იმას, დავითხოვოთ მუშები და ჯამაგირები გაძლიოთო, არც ერთი მუშა არ დასთანხმდება.

თ. ი. ე. ვახვახიშვილი: მე ვსთქვი მხოლოდ ცუდ მუშებზე, რომელნიც თავის აღმზრდელ და სულის ჩამდგმელ ორგანიზაციასაც არ ემორჩილებიან. აი დელეგატი უნდა მოსულიყო, მაგრამ არ მოვიდა, ალბად იცოდნენ, ვერაფერს გახდებოდნენ აქ.

თ. ვ. ავალიშვილი: ჩვენ გამგეობა გვყავს, ის განაგებს ჩვენ საქმეს და მუშებთანაც მაგათ მოაწესრიგეს საქმე. ჩვენ რა უფლება გვაქვს 40 კაცს ხაზი წავუსვათ.

თ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილი. ეგ საქმე ახალი არ არის, შარშანაც ასე იყო, თვითონ ვერ იკისრეს და ჩვენ მოგვმართეს; ის მუშები, რომლებიც 8 საათის მაგიერ მართლა 3 საათს მუშაობენ, უნდა წავიდნენ ჩვენგან, გამგეობაც ასეთის გადაწყვეტილებით გავისტუმროთ. შარშანაც ამ აზრისა ვიყავი, კრებას რომ მიეღო

---

მე წინადაც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ეს რწმენა უფრო გამიმტკიცდა საზღვარგარედ, სადაც აუარებელი მაგალითი ვნახე ვიწრო პარტიულ კინკლაობისა და დოგმატიურ ფანატიზმისა იმავე პარტიულ ნიადაგზე, თუმცა აქედან ისე გვგონია, ვითომ ცხრა მთას იქით გადაკარგული ერთი მუჭა ქართველი თანხმობითა და ერთმანეთის პატივისცემით უნდა იყოს შეკავშირებულიო.

ერთი თვის შემდეგ უნივერსიტეტიც გაიხსნა და ჟენევაში სამოცამდე ქართველმა მოიყარა თავი (დეკემბრის დამდეგს მათი რიცხვი ოთხმოცამდისაც ავიდა). დაიწყო მუდმივი რეფერატები, ლექციები, დისკუსიები და განუწყვეტელი პარტიული კამათი, რომელშიაც ქართველები შესამჩნევ როლს თამაშობდნენ. იმოდენა ქართველებში ორ თუ სამ კაცს ვიცნობდი, რომელნიც პარტიობაზე ხმა-მაღლა ლაპარაკს ერიდებოდნენ და ოფიციალურად თავიანთ თავს არც ერთ პროგრამას არ უკავშირებდნენ. სამაგიეროდ ეს ორი თუ სამი კაცი ქართველებში ყველაზე უფრო მშრომელი, მეცადინე და სერიოზულ მეცნიერულ ცოდნით იყო აღჭურვილი. საზოგადოდ შევამჩნიე, რომ ყველაზე ნაკლებად თავის პირველსა და უმთავრეს მოვალეობას,—ე. ი. სწავლასა და ცოდნის შეძენას—ის ასრულებს, ვინც ყველაზე უფრო მხნე და მშრომელი პარტიული მუშაკია. ასეთი კაცი სცხოვრობს მეექვსე სართულში ქალაქის განაპირა უბანში, იშვიათად ძღება, თავის გარეგნობას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს და ამით თითქო თავიც მოაქვსო. სამაგიეროდ, მისი ოთახი სავსეა პარტიულ ბროშურებით და მასთან ხშირად შეხვდებით მეორე პარტიულ მუშაკს. ორივენი ისევ პარტიულ საქმეებზე ლაპარაკობენ და ერთმანეთს ატყობინებენ: ამა და ამ დღეს ამა და ამ დარბაზში ამა და ამ პარტიის სასარგებლოდ საღამო იქნება გამართულიო, ამა და ამ დღეს „ჰანდვერგის" ან სხვა დარბაზში ან ლომოვი, ან მარტოვი, ანაც აკიმოვი რეფერატს წაიკითხავსო, მანჰეიმის კონგრესზე ბებელმა ესა და ესა სთქვაო, ფოლმარმა ასე უპასუხაო, ან კიდევ—პლეხანოვი ცუდად გახდა და იტალიაში აპირობს წასვლასაო. ასეთი ჯურის „მუშაკნი" თუმცა სტუდენტებად ირიცხებიან, მაგრამ უნივერსიტეტში იშვიათად დადიან და მუდმივ რეფერატებზე დარბაზში პირველ რიგში არიან გამოჭიმულნი. ჟენეველ ქართველებსაც ჰყავთ რამდენიმე ასეთი ტიპი. მათი ცოდნის ავლა-დიდება განისაზღვრება მხოლოდ პარტიულ ლიტერატურის ზედაპირულ ცოდნით და არსებობს თუ არა ქვეყანაზე გარდა ამ ლიტერატურისა, რეფერატებზე სიარულისა და საერთოდ პოლიტიკისა, რომელიც ბევრისთვის იდეია ფიქრად და ფეტიშად არის გადაქცეული—ეს იმათთვის სულ ერთია. უკანასკნელ ხანებში ცხოვრებამ შეიმუშავა და შეჰქმნა განსაკუთრებული ტიპი მოსწავლეთა შორის, შეჰქმნა პროფესიონალური მოლაპარაკე და ხელობით აგიტატორი ან პროპაგანდისტი, რომელმაც ზედ მიწევნით იცის თავის პარტიის ცხოვრება, მის ხელმძღვანელთა ყოველი ნაბიჯი, ნათქვამი და ნაწერი და ამ მხრივ მას მართლა „უნივერსალური" ცოდნა აქვს, ისინი ხშირად ორ და სამ წელიწადს სცხოვრობენ უცხოეთში და ენასაც ვერ სწავლობენ. ცხადია, რომ ასეთ კაცისაგან მხოლოდ პარტიული მოღვაწე უნდა გამოვიდეს და გაუგებარია, რა საჭირო იყო სამი და ოთხი წლით საზღვარ გარედ წასვლა, როცა იმავე პარტიულ ლიტერატურის შესწავლა შეიძლებოდა საქართველოშიაც და რუსეთშიაც.

როგორცა ვთქვი, ჟენეველ ქართველებში ასეთი ტიპი სამი თუ ოთხი მოიძებნება. თუმცა უმეტესობა ამა თუ იმ პარტიას ეკუთვნის, მაგრამ პარტიული პროგრამა ამ უმეტესობას სახარებად არა აქვს გადაქცეული. თუ ვინიცობაა მათ პარტიას რაიმე „საფრთხე" მოელის, ისინი თავგამოდებით წაესარჩლებიან მას და გულწრფელად იცავენ თავიანთ რწმენას, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისევ თავის კალაპოტში დგებიან და ისეთივე გულწრფელი, გულკეთილი, გულახდილი და მხიარული ქართველები არიან, როგორიც იყვნენ ორი ან ერთი საათის წინად, სანამ ლაპარაკი პარტიობაზე და პოლიტიკაზე გადავიდოდა. ამ მხრით ყველაზე ძალიან გამაკვირვეს ქართველმა ქალებმა, რომელთაც ყოველ იდეიურ მოძრაობაში შეაქვთ რაღაც თავისებური, დედაკაცური ელემენტი: ზედაპირობა და გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი; ქართველი ქალი ამ შემთხვევაში შესამჩნევად განირჩევა რუსის ქალისაგან, რომელსაც გაცილებით უფრო ღრმა გრძნობა აქვს და რომელიც უფრო გულწრფელია ყოველ თავის ნაბიჯში, ვიდრე ქართველი. ქართველ ქალს აკლია გრძნობის სიღრმე, გულწრფელი სიყვარული იმ საქმისადმი, რომელსაც ის ემსახურება და თუ ის მაინც მისდევს ფეხის ხმას, ეს იმიტომ, რომ ის საზოგადოთ ჩვეულია ფეხის ხმის აყოლას. ეს დახასიათება შეეხება, რასაკვირველია, მხოლოდ ქართველ ქალების გარკვეულ ტიპს, ერთ ჯგუფს, რომლის შესახებ ძალაუნებურად მადგება ხოლმე ენაზე ერთი კითხვა და ერთი რჩევა: აბა რა თქვენი საქმეა იმ პარტიულ მორევში ჩარევა, რომელსაც თქვენ წრფელის გულით არ თანაუგრძნობთ და რომელიც თქვენთვის მხოლოდ ახალი მოდაა! გაანებეთ თავი თქვენ ბუნების ხელოვნურ და ნაძალადევ დაქუცმაცებას და იყავით ის, რაცა ხართ ნამდვილად.

ასეთი ჯურის ქალები მეორე მხრითაც ძალიან განირჩევიან მამაკაცებისაგან. მე დავაკვირდი ამ მხარეს და შევნიშნე, რომ არსებით და თავიანთ ბუნებით ქალებს უფრო ღრმად აქვთ ჩანერგილი და განვითარებული სიყვარული სამშობლოსადმი და მამულისადმი, ვიდრე მამაკაცებს. მართალია, პრინციპიალურ და საჯარო კამათის დროს ქართველი სოც.-დემოკ. მამაკაცები ეროვნულ საკითხის შესახებ მედგრად იცავდნენ თავიანთ ჩვეულებრივ უარყოფის პოზიციას და ცალკე მეგობრულ ბაასის დროს კი ამ სურათს ცოტა ნაზ ფერს მიუმატებდნენ ხოლმე, მაგრამ ამავე საკითხის შესახებ ქალები საზღვარსაც აჭარბებდნენ. პრინციპიალურ კამათის დროს ისინი მამაკაცებზე უფრო ცხარედ და თავგამოდებით უარჰყოფდნენ და ჰკიცხავდნენ არა თუ რაიმე ეროვნულ საქმეს, არამედ ერონების არსებობასაც კი. მაგრამ უნდა გენახათ იგივე ქალები ცალკე და ჩამოგეგდოთ ლაპარაკი იმავე ეროვნებაზე. ასეთ ლაპარაკს რომ ზომიერი ქართველი ლიბერალი დასწრებოდა, რომელსაც ჩვენში ყველგან და ყოველ შემთხვევაში ნაციონალისტს ეძახიან, ის მათთან შედარებით კოსმოპოლიტი და ინტერნაციონალი გამოჩნდებოდა. ამ მხრით ქართველ ქალებში საოცარის ჰარმონიით უერთდებოდნენ ერთმანეთს უპრინციპო, შაბლონიური კოსმოპოლიტიზმი და უსაზღვრო სიყვარული ქართველ ერისა, ვულგარული, აჟინებული უარყოფა ეროვნების არსებობისა და ნამდვილი ნაციონალიზმი, რომელსაც ხშირად შოვინიზმისგან ვერც კი გაარჩევთ. ისინი ვერც კი ამჩნევდნენ ამ წინააღმდეგობას, პრინციპების არევდარევას, წმინდა გრძნობისა და გამოფიტულ დოგმის შეურიგებლობას და გულუბრყვილოდ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ისინი ლოღიკურ თანდათანობას არ ღალატობენ, მათი მსოფლიო მხედველობა გარკვეულ მეცნიერულ სისტემაზე აგებული და არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს მათის რწმენისა და გრძნობის შორის.

მაგრამ დავანებოთ თავი ქალების ამ საერთო ტიპს, რომელიც მრავლად მოიძებნება ჟენევაშიაც და გაჟინებულ ჩრდილოეთშიაც, ტფილისშიც და ავსტრალიაშიც.

**მაღლი.**

(შემდეგი იქნება)

ეხლა ის აღარ იქნებოდა, რაც არის.

თ. იორ. ჯორჯაძე: გვეკითხებიან და ჩვენ უნდა გზა უჩვენოთ. უნდა გაუჩინოთ პატრონი სარდაფს, უპირველეს ყოვლისა ამას მივაქციოთ ყურადღება, ჩვენი საგანგებოდ ამორჩეული კაცი დავაყენოთ და გამოუცხადოთ, ამას უნდა დაემორჩილოთ. მოვალედ გავხადოთ გამგეობა, რომ თუ ვინიცობაა სარდაფში მომუშავეთაგან მავნებლად მოიქცევა ვინმე, მაშინვე გამოეცხადოთ დანარჩენ მუშებს, რომ გააძევონ, ამაზე თუ მუშებმა უარი სთქვეს, მაშინ საბუთი გვექნება, მთელი მათი მოქმედება ყალბად ჩავთვალოთ. გამგეობა და სარდაფის გამგეც მოვალეა გაიცნოს მუშების მოქმედება კავშირებს, ორგანიზაციებს, ჯგუფებს და სხვა.

თ. ს. რ. ვახვახიშვილი. როცა საერთოთ შევეხებით საკითხს, მაშინ ამბობთ, ლექციას გვიკითხავენო, თუ ეს იცით, მაშ რაღათ ასკვნით თქვენ კერძო აზრს? ეხლა ზოგი გამგეობასა სდებს ბრალს. ხომ მოგეხსენებათ, როგორ არის დაყენებული მუშათა საქმე მთელ რუსეთში. ბ. სარაჯიშვილს როგორი ფართო ვაჭრობა ჰქონდა და სწორედ ამის გამო შეავიწროვა. ბ. ვერმიშევმა 1 თვეა, რაც სარდაფი გახსნა და უკვე მოთხოვნილება წარუდგინეს. ადელხანოვსა და ტოლეს 10 წელიწადია მრეწველობა აქვთ და ამისავე მიზეზით აპირებენ წარმოების შემცირებას. ორი წლის წინად, როცა მუშათა მოძრაობა დაიწყო, მათ შესახებ საკითხები მარტო გამგეობამ-კი არა, გამგეობის სარევიზიო კომისიის და ტფილისში მყოფ ამხანაგობის წევრ ა კრებამ გადასწყვიტა. შეგიძლიანთ სთქვათ, ვერ გადასწყვიტეთ კარგადაო. მაგრამ მაშინდელი პირობებიც მიიღეთ მხედველობაში. თ. იორამ ჯორჯაძემ გვირჩია, სარდაფის გამგის ამორჩევა; ძალიან კარგი, ამოვირჩიოთ, იქნება ეშველოს საქმეს.

თ. ნ. ი. აბაშიძე: აბა მაშ რას იტყვით მუშების მოთხოვნილებაზე, რა პასუხი წავიღოთ.

საერთოდ საგანზე ბევრი ილაპარავეს.

14 მარტს კრებამ დაადგინა:

„კრებამ, განიხილა-რა მუშათა საკითხი და მათი მოთხოვნილებანი, მწუხარება გამოსთქვა იმათ დელეგატის გამოუცხადებლობის გამო, შემდეგ ცხად ჰყო ამხანაგობის მუშების შრომის ნაყოფიერების ძალიან დაცემა და არა ნორმალური განწყობილება მუშებსა და ამხ. ადმინისტრაციის შორის და დაადგინა: ამოირჩიოს განსაკუთრებული კომისია 3 კაცისაგან, რომელსაც დაევალოს გამგეობის და სარევიზიო კომისიის თითო წევრის თანადასწრებით (ამ წევრებსაც კრება აირჩევს) მუშათა საქმის და მათ მოთხოვნილების განხილვა. ამასთან კომისიას უფლება ეძლევა, მიიღოს ყოველნაირი ზომა ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, და აგრეთვე მუშების დათხოვნაც. თუ საჭირო იქნება, კომისია იმოქმედებს შემდეგ საზოგადო კრებამდე. კომისიას უფლება ენიჭება საზოგადოდ მოაწყოს მუშების და მოსამსახურეების საკითხი, როგორც მთავარ სარდაფში, ისე განყოფილებებშიაც, თელავის ბიუროს მუშების საქმეც ამას შეეხება“.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ უმორჩილესად მოათავსოთ ეს პატარა წერილი თქვენს პატივცემულ გაზეთში და მით შეძლება მოგვცეთ, ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას და განსაკუთრებით კი ტფილისის მოსწავლე ახალგაზდობას ის არა სასიამოვნო და მასთან სამწუხარო მოქმედება, რომელსაც სჩადიან ზოგიერთი მოსწავლენი. ამ მოსწავლე ახალგაზრდათა შორის რომ არიან ისეთი ელემენტები, რომელთა უზნეო მოქმედება სახელს უტეხავს მათ პატიოსან ამხანაგებს, ამაში ეჭვი არ არის, მაგრამ თუ ისინი თავის უმსგავსო ქცევით შეურაცხყოფას მიაყენებდნენ უცხო პირებს და გათელავდნენ მათ პიროვნებას, ამას კი არ მოველოდით. აი სწორედ ზოგიერთ მოწაფეთა ამგვარმა უზნეო საქციელმა გვაიძულა ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ამ წერილის დაწერა, რითაც პროტესტს და ზიზღს ვუცხადებთ მათ ამ უზნეო მოქმედებისათვის.

საქმე ასე იყო:

კვირას, 18 მარტს, ასე რვის ნახევარზე ჩვენ ორ ნაცნობ ქალთან ერთად გოლოვინის პროსპექტით შინ მივდიოდით. ჩვენს უკან შემთხვევით მოდიოდნენ გიმნაზიელები (ქართველები), რომელთა უმსგავსოდ წამოსროლილმა სიტყვამ, ჩვენ ნაცნობ ქალებისადმი მიმართულმა, ჩემი (კაპანაძესი) განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. მე მიუბრუნდი მათ (ოთხნი თუ ხუთნი იყვნენ) ამხანაგურ შენიშვნის მისაცემად, მაგრამ ჯერ პირიც არ გამეღო დასალაპარაკებლად, რომ მათ ისეთი უშვერის სიტყვებით შემკობილი „კომპლიმენტი“ გვიძღვნეს, რომ მათ მაგიერ ჩვენ დავიწვით სირცხვილით. რა დავრწმუნდით, რომ მათთან ლაპარაკი არ შეიძლებოდა, ყურადღება აღარ მივაქციეთ და გავუდექით შინისკენ. სირცხვილი ამ გვარ მოსწავლეებს! ნუ თუ მათ დაჰკარგეს ზრდილობა ადამიანური? ან როგორ არ წითლდებოდნენ, როდესაც იმ უწმაწურ სიტყვებს ამბობდნენ სხვის პიროვნების დასამცირებლად?

ჩვენდა საუბედუროდ, მათი გვარები ვერ გავიგეთ. მაგრამ თუ ამ ყმაწვილებს ადამიანობისა კიდევ შერჩენიათ რამე, ამით არ ისარგებლებენ, არ დაიმალებიან და გამოგვყვებიან ამხანაგურ სამართალში. **გიორგი მახაშვილი, ექვთიმე კაპანაძე, ევგენი ხყურუა.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მარტი.

**პეტერბურგი.** ბერდიანსკი მაზრის სოფ. ასტრახანკაში ღამე ყარაულმა ყუმბარა შეამჩნია. ყუმბარა არ აფეთქებულა.—ვილნოში ებრაელების ქუჩაზე ერთ სახლის სხვენზე ყუმბარა გასკდა და სახურავის ერთი ნაწილი ჩამოანგრია. კაცთაგან არავინ დაშავებულა.—რეველში ერთი მამაკაცის და ორი დედაკაცის დაპატიმრების დროს იპოვნეს 3000 მანეთი, რომელიც მებრძოლ ორგანიზაციის თანხას ეკუთნოდა.

**მოსკოვი.** სტუდენტთა საერთო კრებამ დაადგინა, დაიხუროს უნივერსიტეტი 24 მარტამდის, წინადადება მიეცეთ პროფესორთა საბჭოს: უზრუნველ-ყოფილ იქმნას უნივერსიტეტში კრების და სიტყვის თავისუფლება და კანონიერად იცნონ ცენტრალური ორგანო. ახალი კრება 24 მარტის შემდეგ გადასწყვეტს უნივერსიტეტის მომავალ ბედს.

**პეტერბურგი.** 22 მარტს ღამე გარდაიცვალა 78 წლის მოხუცი ზოოლოგი. ავტორი ზღაპრის კოტ მურლიკასი, პროფესორი ვაგნერი.

**თეირანი.** საბზევარში მღელვარება დაწყნარდა. გაქცეული რუსის ქვეშევრდომნი კაზაკების თანხლებით უკან დაბრუნდნენ. მთავრობის წარმომადგენელნი და ხალხი მათ მიეგებნენ. სპარსეთის მთავრობა მხნე ზომებს ხმარობს დამნაშავეთა დასასჯელად.

**პეტერბურგი.** ნაფიც-მსაჯულებმა კორნელი კიმჩენჩანკი გაამართლეს. კიმჩენჩანკს 1905 წელს «ფრანციის» სასტუმროში კორეს მინისტრად ნამყოფის მოკვლა ჰბრალდებოდა.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა: დახუროს უნივერსიტეტი მაისამდე. გამოცდა კურსებზე მაისში მოხდება.

**ტოკიო.** 16 თებერვალს პოლტავის ჟურნალის რედაქტორმა მაცუმოტო კუმციმ პარლამენტში წინადადება შეიტანა, რომ დაარსდეს ახალშენთა სამმართველო. ორატორმა დახატა, როგორ დიდდება იაპონელების გადასახლების და კოლონიზაციის საქმე და სთხოვა ამ საქმის მოწესრიგება. იაპონელების კოლონიზაცია ვრცელია: ფორმოზა, სახალინი და კორე საჭიროებენ. მუკდენის პროვინცია იაპონელთა გავლენის სფერაშია. სამხრეთ ამერიკაში 200,000 იაპონელია და ისინი იქ საყოველთაო ყურადღებას იპყრობენ. საგარეო სამინისტროსთან დაარსებული გადასახლების ბიურო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებსო.

**ოდესა**, 22 მარტი. დილით ჩხრეკის დროს გრუნიევის სადგომში ბელიაევსკის შესახვევში ყუმბარა გასკდა. მოკლულ იქმნა პოლიციელი, მძიმეთ დაიჭრა უბნის ზედამხედველი, პოლიციელი და რამდენიმე კერძო კაცი. აფეთქების დროს სახლის პატრონები შინ არ იყვნენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი**

# განცხადებანი


**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი:** ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**

(30—უ—4) ია ეკალაძე ცინცაძე.

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ღებულობენ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აკოფიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელეიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—49)

## მარტო მამაკაცთათვის

მამაკაცთა კოსტიუმისათვის ახალი ამბავი: ამ ჟამად დიდ ხმარებაშია ერთგვარი მატერია «პოლემიკ» ამგვარ სხვა და სხვა ფერისა: ზეთის ხილის, რუხის, რუხ-თეთრის, შოკოლად-რუხის და სხვა; ყველა ნახევრად მხიარულის ფერისა თითქმის შეუმჩნეველის ოთხკუთხ ხაზებით. დღემდის ეს მატერია ჩვენში ინგლისიდან მოჰქონდათ (მარტო ბაჟი ჰქონდა დადებული 2 მან. არშინზე) და ღირდა 5—6 მანათად არშინი. მაგრამ მე მოვახერხე და სწორედ ამნაირივე მატერია შევიმუშავე; ვგზავნი ფ.სდადებით 6 მ. 25 კაპ. მთელ ნაჭერს, რომელშიაც 4¼ არშინია, სამყოფი მთელის კოსტიუმისათვის, ვინც ორს ან მეტს ნაჭერს გამოიწერს, მატერიის გასაგზავნ ფასს ფაბრიკა გადაიხდის. მატერიის სიმაგრე და სიკეთე უზრუნველყოფილია: თუ ცუდი აღმოჩნდა, უკანვე დ ვიბრუნებ და ფულსაც დავუბრუნებ. ადრესი ჩემი: Лодзь Зигм. Розенталю, фабрика шерст. издѣлій, №26. (Метцль и Ко 5259) (3—№ 2—2)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

## „ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება,** სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმესპირნათლად შეუძლვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**

(20—569—16)

ქუთაისში

გაიხსნა საწყობი ნამდვილი

## ყიფიანის ღვინისა

ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.

ქუთაისი, ვ. ქილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ“ სტამბის გვერდით. (15—კვ.—7)

## ქუთაისში

## კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კონდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—6)

**Опитный учитель** готовитъ по курсу средне-учебныхъ заведеній, къ поступленію въ юнкерское уч., кадетскій корп., на званіе аптекарскаго учен., на—вольноопр. Троицкій пер., (близъ почты), 4, кв. Штейнберга спр. Соломона Лазаревича. Видѣть 11—5 дня. (1—3—1)

23 მარტიდან ქ. ტფილისში გამოვა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „სინათლე“

გაზეთი წლიურად ღირს 7 მანეთად, თვიურად ტფილისში 70 კაპ. ტფილისის გარეთ 80 კაპ.

ცალკე ნომერი **ყველგან 5 კაპ.**

**ადრესი:** Тифлисъ, редакція „СИНАТЛЕ“. (3—უ.—3)

პირველ მარტიდან უკვე მიიღება ხელის მოწერა

**ოსურ გაზეთზე**

## „ნაუაგ ცარდ“

(ახალი ცხოვრება)

რომელიც კვირაში ორჯელ გამოვა.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| წლით . . . . 4 მან. | სამი თვით . . 1 მ. |
| ნახევარი წლ. 2 მ. | ერთი თვით . 50 კ. |

წლიური ხელის მომწერნი წლის დამლევს უფასოდ მიიღებენ ოსი მწერალთა ერთ-ერთ ნაწარმოებს.

ადრესი: ტფილისი, ობელიანის ქუჩა, № 36.

რედაქტორ-გამომცემელი **პ. თედეევი.**

გამოვიდა და დაიგზავნა გასაყიდად

**ახალი ქართული წიგნი**

## მარქსიზმის შესახებ

ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ

დრისა.

**ფასი 10 კაპ.**

გამომცემელი

## „ბუთნისა“

**გლეხთა საკითხი საფრანგეთში,** ს. ანსკისა . . . . . 7 კაპ.

**ეროვნული საკითხი.** შალვა ნათაძისა . . 3 კაპ.

**ახალი ქადაგება,** . . . . . . . 3 კაპ.

**საფრანგეთის დიდი რევოლიუცია,** ვლ. ლორთქიფანიძისა. . . . . . . 15 კაპ.

**მიწა მიწის მუშას!** . . . . . . 5 კაპ.

**გზა სოციალიზმისკენ,** პ. სორსკისა. 5 კაპ.

**თამეურნეო ცხოვრების განვითარება,** ე. ბერნშტეინისა . . . . . . . 20 კაპ.

**აგრარული პროგრამები,** თ. სიბირსკისა 8 კაპ.

ყველა ამ წიგნების ყიდვა შეიძლება:

1) **ტფილისში**—საზოგ. „კახეთი“, გიორგი ქონიაშვილთან.
2) **გორში**—ვანო ჩაჩანიძესთან, სობორის ქუჩა,
3) **ახალქალაქში**—(გორის მაზრა)—ვიქტორ მდივანთან.
4) **ცხინვალში**—ნიკო კასრაძესთან.
5) **საგარეჯოში**—იოსებ ქურდოვანიძესთან.
6) **ქუთაისში**—დავ. ს. ღულაძესთან, მესხეთის ქუჩა.
7) **ბათომში**—პ. გ. ჯამყრელიძესთან, ქალაქის გამგეობა.
8) **ფოთში**—მიხ. ივ. ჩხენკელთან.
9) **ოზურგეთში**—ივლიანე ჟღენტთან.
10) **ჭიათურაში**—მ. მ. სიხარულიძესთან.
11) **ყვირილაში**—ქორონხის წიგნის მაღაზიაში.
12) **სამტრედიაში**—კალაძის წიგნის მაღაზიაში.
13) **ხონში**—მოსიკო ქელიძესთან.
14) **ბალაჯარაში**—ათანასე მიქაძესთან, სადგურის ბუფეტში.
15) **ბაქოში**—გ. კვალიაშვილთან.

აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიებში.

ამხანაგობა ხელ-ნაწერების ავტორებსა სთხოვს, შეგვატყობინონ ხოლმე თავიანთი პირობებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები უჰონორაროდ ჩაითვლება.

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერის

**გადმოვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—93)

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

წელიწადი **ნაკადული** მესამე

1907 წლის 1 იანვრიდან 1908 წლის 1 იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:

**24** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მცირეწლოვანთათვის** **12** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მოზრდილთათვის**

დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.

წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით საღამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь“-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდაში“; 6. **ბაქო,** ანა გრიგოლის ასულ ყვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости“-ს რედაქციაში; 8. **ყვირილა**, წიგნის მაღაზია „ივერიაში“; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში“; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გოშაძესთან: 11. **ელისავეტპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

წელიწადი **ჯეჯილი** მეთვრამეტე

1907 წელსაც გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

რადგან 1906 წელს გარემოებამ დაგვაბრკოლა და სრული წლის გამოცემა ვერ მივაწოდეთ ჩვენს ხელის მომწერლებს—1907 წლის ნომრებით შევუსრულებთ დანაკლისს ფასს გადაუხდელად და წრეულს ახალ ხელის მომწერლებს პირველი სამი ნომერი გაეგზავნებათ შარშანდელის გამოცემისა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

**ხელის მოწერა მიიღება:**

ტფილისში—„წერა-კითხვის გამომ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101.) და თვით **ჯეჯილის** რედაქციაში (Артиллер. ул. № 5. возлѣ Кадетскаго Корпуса.).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(4—უ.—4) რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია წერეთლისა.

## Открыта подписка на 1907 годъ на газету

# ЗАКАВКАЗЬЕ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ 8 руб., на 6 мѣс.—5 руб., помѣсячно—1 руб. Плата за объявленія: впереди текста за строку петита 15 коп. послѣ текста 8 коп. Тифлисъ, Головинскій пр., д. Пондоева. рядомъ съ городской аптекой.

Редакторъ-издатель **П. А. ГОТУА**


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ., № 6.